



2024 წლის სახელმწიფო  
ბიუჯეტის 6 თვის  
შესრულების  
**მიმოხილვა**

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

**2024**  
აგვისტო

# სარჩევი

ძირითადი მარჯვენებლები .....	3
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ზოგადი მიმოხილვა .....	4
სახელმწიფო ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების მარჯვენებლები .....	6
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები.....	8
შემოსავლები .....	10
არაფინანსური აქტივების კლება.....	15
ფინანსური აქტივების კლება.....	16
ვალდებულებების ზრდა.....	16
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები .....	18
ხარჯები .....	21
არაფინანსური აქტივების ზრდა.....	26
ფინანსური აქტივების ზრდა.....	27
ვალდებულებების კლება .....	27
ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია .....	28
საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები .....	30
სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება, საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო .....	34
ნაშთის ცვლილება .....	34
საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო .....	35
გამოყენებული მონაცემების წყარო: .....	35
<b>დანართები</b> .....	<b>36</b>
დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი) .....	36
დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი).....	37
დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი) .....	38

# ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 12,448.4 მლნ ლარი

106.3%  
6 თვის  
გეგმის

50.7%  
წლიური  
გეგმის

გადასახდელები - 11,799.0 მლნ ლარი

99.4%  
6 თვის  
გეგმის



47.1%  
წლიური  
გეგმის

ნაშთის ცვლილება  
649.4 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო  
1,596.2 მლნ ლარი

მთლიანი სალდო  
-84.5 მლნ ლარი


## შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



## გადასახადების სტრუქტურა





## ხარჯების სტრუქტურა



# სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ზოგადი მიმოხილვა

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 24,569.5 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-ივნისში შემოსულობების შესრულება შეადგენს 12,448.4 მლნ ლარს (წლიური გეგმის 50.7%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,732.9 მლნ ლარით (16.2%-ით) აღემატება.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 25,030.4 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-ივნისში გადასახდელების შესრულება შეადგენს 11,799.0 მლნ ლარს (წლიური გეგმის 47.1%) და 1,839.2 მლნ ლარით (18.5%-ით) მეტია წინა წლის 6 თვის მაჩვენებელთან შედარებით.



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის გეგმა<sup>[1]</sup> განსაზღვრულია 11,710.5 მლნ ლარით, ხოლო 6 თვის შესრულება მის 106.3%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 6 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულებით ხასიათდება შემოსავლები (104.3%), არაფინანსური აქტივების კლებისა (135.5%) და ვალდებულებების ზრდის კომპონენტები (128.8%) მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა, ხოლო ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობებს შედარებით დაბალი შესრულების მაჩვენებელი აქვს და 6 თვის გეგმის 92.3%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის როგორც დამტკიცებული, ასევე დაზუსტებული გეგმა შეადგენს 11,869.4 მლნ ლარს, შესრულებამ კი მათი 99.4% შეადგინა. გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 6 თვის დამტკიცებული გეგმის 97.6%, ხოლო დაზუსტებული გეგმის 98.3%-ია. შესრულების კარგი დონით ხასიათდება, ასევე, არაფინანსური აქტივების ზრდა (6 თვის დამტკიცებული გეგმის 110.6%, ხოლო დაზუსტებული გეგმის 102.2%). 6 თვის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით შესრულების დაბალი დონით (89.9%), ხოლო დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით კარგი შესრულების დონით (99.3%) ხასიათდება ვალდებულებების კლების კომპონენტი. 6 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების მიმართ გადაჭარბებით გამოირჩევა ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი (შესაბამისად, 191.7% და 197.2%).


[1] „საქართველოს 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის № 518 ბრძანება. იანვარ-ივნისში განხორციელებული შესაბამისი საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად, მოხდა მხოლოდ გადასახდელების მუხლების 6 თვის გეგმების დაზუსტება, შესაბამისად, მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილია გადასახდელების როგორც დამტკიცებული, ასევე, დაზუსტებული 6 თვის გეგმები.

ცხრილი 1. 2024 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %)

დასახელება	2024 წლის გეგმა	6 თვის დამტ. გეგმა	6 თვის დაზუსტ. გეგმა	6 თვის შესრულება	% 6 თვის დამტკ. გეგმასთან	% 6 თვის დაზუსტ. გეგმასთან	% წლიურ გეგმასთან
<b>შემოსულობები</b>	<b>24,569.5</b>	<b>11,710.5</b>	<b>11,710.5</b>	<b>12,448.4</b>	<b>106.3%</b>	<b>106.3%</b>	<b>50.7%</b>
შემოსავლები	20,731.0	10,451.9	10,451.9	10,902.5	104.3%	104.3%	52.6%
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	73.0	73.0	98.9	135.5%	135.5%	49.4%
ფინანსური აქტივების კლება	300.0	220.0	220.0	203.0	92.3%	92.3%	67.7%
ვალდებულებების ზრდა	3,338.5	965.5	965.5	1,243.9	128.8%	128.8%	37.3%
<b>გადასახდელები</b>	<b>25,030.4</b>	<b>11,869.4</b>	<b>11,869.4</b>	<b>11,799.0</b>	<b>99.4%</b>	<b>99.4%</b>	<b>47.1%</b>
ხარჯები	19,120.9	9,534.4	9,467.1	9,306.3	97.6%	98.3%	48.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,180.6	1,609.0	1,741.0	1,779.7	110.6%	102.2%	42.6%
ფინანსური აქტივების ზრდა	305.6	59.1	57.4	113.3	191.7%	197.2%	37.1%
ვალდებულებების კლება	1,423.4	666.9	603.9	599.8	89.9%	99.3%	42.1%
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-460.9</b>	<b>-158.9</b>	<b>-158.9</b>	<b>649.4</b>			

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 6 თვეში შეადგინა 1,596.2 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - -84.5 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2020-2024 წლების 6 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,577.3 მლნ ლარი. იანვარი-ივნისში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 649.4 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 ივლისისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 2,226.7 მლნ ლარის ოდენობით.




რაც შეეხება მთავრობის ვალს, 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მთავრობის ვალის ნაშთის მოცულობამ 32,429.9 მლნ ლარი შეადგინა (მ.შ. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი - 23,399.9 მლნ ლარი; მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი - 9,030.0 მლნ ლარი).

## სახელმწიფო ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების მარჯვენებლები

2024 წლის II კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 6,132.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 184.0 მლნ ლარით ნაკლებია I კვარტლის მარჯვენებლებზე, ხოლო წინა წლის II კვარტლის მონაცემს 317.1 მლნ ლარით აღემატება. რაც შეეხება 2024 წლის II კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 6,045.6 მლნ ლარს, რაც 292.1 მლნ ლარით აღემატება I კვარტლის მარჯვენებელს, ხოლო 2023 წლის II კვარტლის მარჯვენებელთან შედარებით გაზრდილია 744.9 მლნ ლარით.

2024 წლის II კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მარჯვენებელი (6,132.2 მლნ ლარი) 2022-2023 წლების 4-ვე კვარტლის საშუალო მარჯვენებელთან შედარებით გაზრდილია (შემოსავლების კომპონენტის მნიშვნელოვანი მატების გავლენით), შესაბამისად, 999.9 მლნ ლარის (19.5%-ის) და 462.2 მლნ ლარის (8.2%-ის) ოდენობით. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2022-2024 წლების კვარტლების მიხედვით.


დიაგრამა 4. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2022-2024 წლების კვარტლების მიხედვით (მლნ ლარი)



2024 წლის აპრილ-ივნისში შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (86.6%) და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების (12.0%) ხარჯზე. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 38.0 მლნ ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების კლების მარჯვენებელმა შეადგინა 50.5 მლნ ლარი.


რაც შეეხება 2024 წლის II კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მარჯვენებელს (6,045.6 მლნ ლარი), 2022 წლის 4-ვე კვარტლის საშუალო მარჯვენებელს 1,004.8 მლნ ლარით (19.9%-ით) აღემატება, ხოლო 2023 წლის იგივე მარჯვენებელთან შედარებით გაზრდილია 458.0 მლნ ლარის (8.2%-ის) ოდენობით. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2022-2024 წლების კვარტლების მიხედვით.

დიაგრამა 5. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2022-2024 წლების კვარტლების მიხედვით (მლნ ლარი)




2024 წლის აპრილ-ივნისში ხარჯების შესრულებამ შეადგინა 4,794.1 მლნ ლარი, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელებმა - შესაბამისად, 918.6 მლნ ლარი და 51.5 მლნ ლარი, ხოლო ვალდებულებების კლების მარჯვენებელი 281.3 მლნ ლარს გაუტოლდა.

დიაგრამა 6. გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მიმოხილვა, რაზეც 2024 წლის II კვარტალში მიღებული შემოსავლების 88.6%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 76.7% მოდის. კერძოდ: II კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 4,702.8 მლნ ლარი, I კვარტლის მაჩვენებელზე 509.6 მლნ ლარით (9.8%-ით) ნაკლები. წინა კვარტალთან შედარებით აღნიშნული შემცირება უკავშირდება სხვა გადასახადს (რომლის სახითაც II კვარტალში ბიუჯეტში აღირიცხა 1,287.8 მლნ ლარით ნაკლები და -588.5 მლნ ლარი შეადგინა<sup>[2]</sup>). რაც შეეხება დანარჩენ გადასახადებს, II კვარტალში ყველა სახის გადასახადი გაზრდილია, განსაკუთრებით, მოგების გადასახადი და აქციზი (შესაბამისად, 495.3 მლნ ლარით და 149.8 მლნ ლარით). საშემოსავლო გადასახადი მომატებულია 68.2 მლნ ლარით, დღგ - 60.7 მლნ ლარით, ხოლო იმპორტის გადასახადი - 4.2 მლნ ლარით.

დიაგრამა 7. გაწეული ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)



რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი II კვარტალში გაწეული მთლიანი გადასახდელების 79.3%-ს შეადგენს. 2024 წლის აპრილ-ივნისში ხარჯებმა 4,794.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა კვარტლის მაჩვენებელს 282.0 მლნ ლარით (6.2%-ით) აღემატება. წინა კვარტალთან შედარებით ხარჯების თითქმის ყველა მუხლის დაფინანსება გაზრდილია (გარდა პროცენტისა, რომლის მაჩვენებელიც შემცირებულია 127.2 მლნ ლარით, აგრეთვე, სუბსიდიებისა, რომელიც უმნიშვნელოდ, 0.5 მლნ ლარით, არის შემცირებული): კერძოდ, გრანტების მუხლით ხარჯები მომატებულია 150.2 მლნ ლარით, სოციალური უზრუნველყოფის - 71.1 მლნ ლარით, სხვა ხარჯები - 86.4 მლნ ლარით, ხოლო შრომის ანაზღაურებაზე და საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები გაზრდილია, შესაბამისად, 52.9 მლნ ლარით და 49.0 მლნ ლარით

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2024 წლის II კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა 514.9 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - (-365.7) მლნ ლარი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აპრილ-ივნისში მიღებული შემოსულობებისა (6,132.2 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (6,045.6 მლნ ლარი) გათვალისწინებით, II კვარტალში ნაშთის დაგროვებამ შეადგინა 86.6 მლნ ლარი.


[2] 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების გეგმა განსაზღვრულია 24,569.5 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 2024 წლის 6 თვის შემოსულობების შესრულებამ შეადგინა 12,448.4 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 50.7%-ს და 6 თვის გეგმის (11,710.5 მლნ ლარი) 106.3%-ს უტოლდება, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,732.9 მლნ ლარით (16.2%-ით) აღემატება.

ნომინალურ გამოხატულებაში 2015-2024 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის შესრულების მაჩვენებლები, გარდა 2016 და 2022 წლების 6 თვის შესრულებისა, ხასიათდება ყოველწლიური ზრდის ტენდენციით. 2015-2023 წლებში მისი წილი წლიურ მაჩვენებელში მერყეობდა 42.7%-სა და 51.0%-ს შორის, 2024 წლის 6 თვის შესრულების მაჩვენებელმა კი წლიური გეგმის 50.7% შეადგინა

დიაგრამა 8. 2015-2024 წლების შემოსულობების 6 თვის შესრულებები და მათი წილი წლიურ მაჩვენებლებში (მლნ ლარი, %)



რაც შეეხება 6 თვის გეგმის მიმართ შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, კარგი შესრულების მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (104.3%), ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი შედარებით დაბალი შესრულების დონით (92.3%) ხასიათდება, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლებით მიღებული შემოსულობები კი, შესაბამისად, 35.5%-იანი და 28.8%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა.


ცხრილი 2. 2023-2024 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობები (მლნ ლარი, %).

	2023 წლის 6 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა	2024 წლის 6 თვის შესრულება	შესრულება 6 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან	%-ული ცვლილება წინა წელთან
<b>შემოსულობები</b>	<b>10,715.6</b>	<b>24,569.5</b>	<b>11,710.5</b>	<b>12,448.4</b>	<b>106.3%</b>	<b>50.7%</b>	<b>16.2%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>9,091.2</b>	<b>20,731.0</b>	<b>10,451.9</b>	<b>10,902.5</b>	<b>104.3%</b>	<b>52.6%</b>	<b>19.9%</b>
გადასახადები	8,036.7	19,115.0	9,399.8	9,915.1	105.5%	51.9%	23.4%
გრანტები	176.9	266.0	136.2	172.7	126.8%	64.9%	-2.4%
სხვა შემოსავლები	877.5	1,350.0	916.0	814.8	89.0%	60.4%	-7.2%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>70.8</b>	<b>200.0</b>	<b>73.0</b>	<b>98.9</b>	<b>135.5%</b>	<b>49.4%</b>	<b>39.6%</b>
<b>ფინანსური აქტივების კლება</b>	<b>170.8</b>	<b>300.0</b>	<b>220.0</b>	<b>203.0</b>	<b>92.3%</b>	<b>67.7%</b>	<b>18.9%</b>
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>1,382.8</b>	<b>3,338.5</b>	<b>965.5</b>	<b>1,243.9</b>	<b>128.8%</b>	<b>37.3%</b>	<b>-10.0%</b>
საგარეო	689.2	1,838.5	537.5	767.3	142.7%	41.7%	11.3%
საშინაო	693.6	1,500.0	428.0	476.6	111.4%	31.8%	-31.3%

წინა წელთან მიმართებით, შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი 1,732.9 მლნ ლარით, 16.2%-ით არის გაზრდილი, რასაც ძირითადად განაპირობებს შემოსავლების მნიშვნელოვანი (1,811.4 მლნ ლარით) ზრდა.


ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ზრდა დაკავშირებულია მისი ძირითადი კომპონენტების - შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მატებასთან. 2016-2024 წლებისთვის ვალდებულებების ზრდით შემოსულობების საშუალო ზრდის ტემპი (42.6%) გაცილებით მაღალია შემოსავლების ანალოგიურ მაჩვენებელთან (12.8%) შედარებით (პანდემიის წლებში საგარეო წყაროდან მოზიდული სახსრების ზრდის გავლენით), თუმცა 2022 წლიდან ვალდებულებების ზრდის კომპონენტის ზრდის ტემპის მაჩვენებელი შემცირების ტენდენციას ავლენს. 2024 წელსაც, წინა წელთან შედარებით ვალდებულებების ზრდით შემოსულობები შემცირებულია 10.0%-ით, ხოლო შემოსავლები გაზრდილია 19.9%-ით, რაც შესაბამისად აისახება მთლიანი შემოსულობების სტრუქტურაზეც: 2024 წელს, წინა წელთან, შედარებით შემოსავლების წილი მთლიან შემოსულობებში გაზრდილია 84.8%-დან 87.6%-მდე, ხოლო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების წილი შემცირებულია 12.9%-დან 10.0%-მდე. წინა წლების მსგავსად, 2024 წლის 6 თვეში, მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 2.4%-ს შეადგენს (ეს მაჩვენებელი 2015-2023 წლების 6 თვეში საშუალოდ 2.2%-ს შეადგენდა).

დიაგრამა 9. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურის დინამიკა 2015-2024 წლების 6 თვეში (%)




ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2015-2024 წლების 6 თვეში შემადგენელი კომპონენტების მიხედვით.

დიაგრამა 10. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა 2015-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).



რაც შეეხება 2022-2024 წლების 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებას თვეების მიხედვით, 2022 წლის იანვარ-ივნისში მიღებული შემოსულობების საშუალო ყოველთვიური მაჩვენებელი შეადგენდა 1,520.6 მლნ ლარს, ხოლო 2023 წლის იანვარ-ივნისში - 1,785.9 მლნ ლარს. 2024 წლის 6 თვეში საშუალო ყოველთვიურმა მაჩვენებელმა 2,074.7 მლნ ლარი შეადგინა, 2022 წლის 6 თვის საშუალო მაჩვენებელზე 36.4%-ით (554.1 მლნ ლარით), ხოლო 2023 წლის 6 თვის საშუალო მაჩვენებელზე 16.2%-ით (288.8 მლნ ლარით) მეტი.

დიაგრამა 11. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2022-2024 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი).



## შემოსავლები

შემოსავლების სახით 2024 წლის 6 თვეში მიღებულია 10,902.5 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის (10,451.9 მლნ ლარი) 104.3% და წლიური გეგმის (20,731.0 მლნ ლარი) 52.6%, წინა წლის მაჩვენებელს კი 1,811.4 მლნ ლარით (19.9%-ით) აღემატება, გადასახადების მატების გავლენით. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები, ხოლო სხვა შემოსავლების მაჩვენებელი - უარყოფითი გადახრით, გრანტების მაჩვენებელი კი გადაჭარბებით გამოირჩევა.

დიაგრამა 12. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).



- საგადასახადო შემოსავლების სახით (რომლის ხარჯზეც განხორციელდა შემოსავლების 90.9%-ის ფორმირება) 6 თვეში მოზიარებულია 9,915.1 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის (9,399.8 მლნ ლარი) 105.5% და წლიური გეგმის (19,115.0 მლნ ლარი) 51.9%, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად, 1,878.4 მლნ ლარით (23.4%-ით) აღემატება.

ცხრილი 3. სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის საგადასახადო შემოსავლები 2023-2024 წლებში (მლნ ლარი, %).


	2023 წლის 6 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა	2024 წლის 6 თვის შესრულება	შესრულება 6 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან	%-ული ცვლილება წინა წელთან
გადასახადები	8,036.7	19,115.0	9,399.8	9,915.1	105.5%	51.9%	23.4%
საშემოსავლო გადასახადი	2,777.8	6,345.1	3,160.0	3,279.0	103.8%	51.7%	18.0%
მოგების გადასახადი	1,112.9	2,690.0	1,605.0	1,736.9	108.2%	64.6%	56.1%
დღგ	3,220.9	7,388.3	3,466.8	3,540.2	102.1%	47.9%	9.9%
აქციზი	964.6	2,375.0	1,010.0	1,180.4	116.9%	49.7%	22.4%
იმპორტის გადასახადი	71.4	150.0	71.0	67.8	95.5%	45.2%	-5.0%
სხვა გადასახადები	-111.0	166.6	87.0	110.8	127.3%	66.5%	-199.8%

6 თვის გეგმის მიმართ ყველა სახის გადასახადი (გარდა იმპორტის გადასახადისა, რომლის შესრულების მაჩვენებელი 95.5%-ს შეადგენს) მობილიზების კარგი დონით გამოირჩევა და 95.5%-116.9%-ის ფარგლებში მერყეობს (განსაკუთრებით, აქციზი, აგრეთვე, მოგების გადასახადი გამოირჩევა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით - შესაბამისად, 170.4 მლნ ლარით და 131.9 მლნ ლარით). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 6 თვეში მისი საგეგმო მოცულობა განისაზღვრა 87.0 მლნ ლარის ოდენობით, ფაქტობრივი მაჩვენებელი კი 110.8 მლნ ლარს შეადგენს<sup>[3]</sup>.

2023 წლის 6 თვესთან შედარებით გადასახადები გაზრდილია 1,878.4 მლნ ლარით (23.4%-ით), რაც ძირითადად განპირობებულია მოგების გადასახადის 56.1%-იანი (624.0 მლნ ლარით) მატებით, აგრეთვე, საშემოსავლო გადასახადის, დღგ-ის და აქციზის ზრდით (შესაბამისად, 18.0%-ით, 9.9%-ით და 22.4%-ით).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 392.5 მლნ ლარით (16.4%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-ივნისში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 3,540.2 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 319.3 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან შემოსულია 128.9 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციიდან - 190.4 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 22.4%-ით (215.8 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი, ერთი მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან აქციზის (8.1 მლნ ლარით) შემცირებისა და მეორე მხრივ, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის (223.9 მლნ ლარით) ზრდის გავლენით (მათ შორის, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის სახით მიღებულია 196.5 მლნ ლარით მეტი შემოსავალი).


დიაგრამა 13. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა 2015-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი)



რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს თვეების მიხედვით, გადასახადები 2024 წლის მარტი-ივნისის თვეებში კლების ტენდენციით ხასიათდება და ივნისის თვეში ყველაზე მინიმალურ მაჩვენებელს, 1,353.1 მლნ ლარს აღწევს (ძირითადად, სხვა გადასახადების მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირების გავლენით). 2024 წლის 6 თვეში გადასახადების ყოველთვიური საშუალო მაჩვენებელი 1,652.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2023 წლის ანალოგიური პერიოდის საშუალო მაჩვენებელზე 313.1 მლნ ლარით (23.4%-ით) მეტია, ხოლო 2023 წლის საშუალო წლიურ მონაცემს 236.3 მლნ ლარით (16.7%-ით) აღემატება. 2024 წლის 6 თვეში საგადასახადო შემოსავლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მარტში დაფიქსირდა (2,038.3 მლნ ლარის ოდენობით), ყველაზე დაბალი - ივნისში.


[3] 2016 წელს საბაზინო კოდების სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება სხვა გადასახადის მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

დიაგრამა 14. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2023-2024 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



საგადასახადო შემოსავლების ანალიზისას საინტერესოა, განხილულ იქნას ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები. 2024 წლის 6 თვეში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 11,539.6 მლნ ლარი შეადგინა<sup>[4]</sup>, რაც 6 თვის გეგმის (10,962.2 მლნ ლარი) 105.3%-ს და 2024 წლის საპროგნოზო წლიური მაჩვენებლის (22,053.0 მლნ ლარი) 52.3%-ს შეადგენს. 2015-2024 წლების 6 თვეში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლები მუდმივი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა 2022-2024 წლებში (პანდემიის შემდეგ) ზრდის ტემპის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის მომატებული: 2016-2021 წლებში საგადასახადო შემოსავლების საშუალო ზრდის ტემპი 8.0%-ს შეადგენს, 2022 წელს კი წინა წელთან შედარებით შემოსავლების ზრდის მაჩვენებელი 33.9%-ს აღწევს, 2023 წელს - 18.2%-ს, ხოლო 2024 წლის მაჩვენებელი 2023 წლის მონაცემს 21.4%-ით (2,030.6 მლნ ლარით) აღემატება (რაზეც გავლენა იქონია, ძირითადად, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების მნიშვნელოვანმა მატებამ).

დიაგრამა 15. ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2015-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი)




• გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებელი (172.7 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა და 6 თვის გეგმის 126.8%-ს და წლიური გეგმის 64.9%-ს შეადგენს, რაც ძირითადად დაკავშირებულია ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავლის (69.5 მლნ ლარის ოდენობით) გადაჭარბებით მიღებასთან (6 თვის გეგმის 115.8%), აგრეთვე, საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 6 თვეში მიღებულია 33.7 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). ბიუჯეტში მიღებულია, აგრეთვე, ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები 61.6 მლნ ლარის ოდენობით (6 თვის გეგმის 102.6%) და საინვესტიციო გრანტები 8.0 მლნ ლარის ოდენობით (6 თვის გეგმის 49.3%).

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გრანტების მოცულობა 4.3 მლნ ლარით (2.4%-ით) შემცირებულია, ერთი მხრივ, საინვესტიციო და მიზნობრივი გრანტების (15.6 მლნ ლარით) შემცირებისა და მეორე მხრივ, დანარჩენი გრანტების (11.3 მლნ ლარით) ზრდის გავლენით.

[4] საანგარიშო პერიოდში ზედმეტად გადახდილი გადასახადების (დღგ) დაბრუნების მაჩვენებელმა 1,183.0 მლნ ლარი შეადგინა.

დიაგრამა 16. გრანტების დინამიკა კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).



• სხვა შემოსავლებს სახით ბიუჯეტში მიღებულია 814.8 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის (916.0 მლნ ლარი) 89.0% და წლიური გეგმის (1,350.0 მლნ ლარი) 60.4%.

ცხრილი 4. სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2023-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი, %),

	2023 წლის 6 თვის შესრულება	2024 წლის 6 თვის გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა	2024 წლის 6 თვის შესრულება	შესრულება 6 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან	%-ული ცვლილება წინა წელთან
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>877.5</b>	<b>1,350.0</b>	<b>916.0</b>	<b>814.8</b>	<b>89.0%</b>	<b>60.4%</b>	<b>-7.2%</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>621.1</b>	<b>826.2</b>	<b>661.0</b>	<b>517.1</b>	<b>78.2%</b>	<b>62.6%</b>	<b>-16.7%</b>
პროცენტები	141.8	280.0	131.0	148.9	113.6%	53.2%	5.0%
დივიდენდები	463.0	516.2	515.0	353.0	68.5%	68.4%	-23.8%
<i>სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან</i>	0.3	51.2	50.0	50.1	100.2%	97.8%	18948.1%
<i>ეროვნული ბანკის მოგებიდან</i>	462.8	465.0	465.0	302.9	65.1%	65.1%	-34.6%
რენტა	16.3	30.0	15.0	15.3	101.9%	51.0%	-6.1%
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>50.3</b>	<b>93.8</b>	<b>49.0</b>	<b>70.2</b>	<b>143.4%</b>	<b>74.9%</b>	<b>39.5%</b>
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	49.2	89.8	47.5	68.7	144.8%	76.5%	39.8%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1.2	4.0	1.5	1.5	100.2%	37.6%	27.1%
<b>ჭარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>72.1</b>	<b>150.0</b>	<b>72.0</b>	<b>80.4</b>	<b>111.6%</b>	<b>53.6%</b>	<b>11.5%</b>
<b>ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული</b>	<b>134.0</b>	<b>280.0</b>	<b>134.0</b>	<b>147.0</b>	<b>109.7%</b>	<b>52.5%</b>	<b>9.7%</b>

6 თვის გეგმასთან მიმართებით, სხვა შემოსავლების 11%-იანი უარყოფითი გადახრა უკავშირდება საკუთრებიდან შემოსავლების შესრულების დაბალ (78.2%-იან) დონეს, რასაც თავის მხრივ განაპირობებს დივიდენდების 68.5%-იანი შესრულება. კერძოდ: ეროვნული ბანკის მოგებიდან დივიდენდების სახით მე-2 კვარტალში გეგმით გათვალისწინებული იყო 465.0 მლნ ლარის მიღება, ფაქტობრივად კი ბიუჯეტში ჩაირიცხა 302.9 მლნ ლარი (162.1 მლნ ლარით ნაკლები). რაც შეეხება დივიდენდებს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან, აღნიშნული შემოსვლის სახით ბიუჯეტში ჩაირიცხა 50.1 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 100.2%.

საკუთრებიდან დანარჩენი სახის შემოსავლები, კერძოდ, პროცენტისა და რენტის სახით შემოსავლები, გადაჭარბებითაა მიღებული: პროცენტის მუხლით შემოსავლები 2024 წლის იანვარ-ივნისის მდგომარეობით 148.9 მლნ ლარს (მ.შ. დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები შეადგენს 85.5 მლნ ლარს), 6 თვის გეგმის 113.6%-ს შეადგენს.

რენტის მუხლით შემოსავლები 15.3 მლნ ლარს უტოლდება (6 თვის გეგმის 101.9%), სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურიდან მიღებულია 13.4 მლნ ლარი (გასულ წელს ამ მიმართულებით ბიუჯეტში ჩაირიცხა 14.3 მლნ ლარი).


სხვა შემოსავლების ყველა დანარჩენი კომპონენტი ასევე გადაჭარბებით არის მიღებული: არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობის 18.0%), ბიუჯეტში შემოსულია 147.0 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 109.7% და წლიური გეგმის 52.5% (მათ შორის, გზატარებლობის საფასურიდან შემოსავლები შეადგენს 87.3 მლნ ლარს, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 17.1 მლნ ლარს).

სანქციებიდან (ჯარიმები, საურავები) შემოსავალმა კი 80.4 მლნ ლარს მიაღწია, რაც 6 თვის გეგმის 111.6%-ს და წლიური გეგმის 53.6%-ს შეადგენს (მ.შ. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო სანქციებიდან შემოსულია 42.5 მლნ ლარი).

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან იანვარ-ივნისში ბიუჯეტში ჩაირიცხა 70.2 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 143.4%. ძირითადი შემოსავალი (68.7 მლნ ლარის ოდენობით) მიღებულ იქნა ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით. მ.შ. სანებართვო მოსაკრებლები შეადგენს 48.4 მლნ ლარს (აქედან, 47.6 მლნ ლარი შემოვიდა სამორინეს, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვიდან) და სახელმწიფო ბაჟი - 14.1 მლნ ლარს (მ.შ. სასამართლოებში განსახილველი საქმეებიდან მიღებულია 12.8 მლნ ლარი).

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სხვა შემოსავლების მოცულობა მნიშვნელოვნად, 62.8 მლნ ლარით (7.2%-ით) არის შემცირებული, რაც ძირითადად დაკავშირებულია საკუთრებიდან შემოსავლების 16.7%-იან კლებასთან, ეროვნული ბანკის მოგებიდან დივიდენდების შემცირების გავლენით (აღნიშნული შემოსავლის სახით 2023 წელს ბიუჯეტში ჩაირიცხა 462.8 მლნ ლარი, 159.9 მლნ ლარით მეტი).

დიაგრამა 17. სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2015-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).




## არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები 98.9 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 135.5%-ს (წლიური გეგმის 49.4%-ს) შეადგენს, რაც ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობებს უკავშირდება, რომლის სახით 6 თვეში (ძირითადად მარტში და ივნისში) მიღებულ იქნა 86.9 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 119.0% (მათ შორის, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან შემოსულია 74.4 მლნ ლარი). რაც შეეხება არანარმოებულ აქტივებს, მიწის რეალიზაციიდან მიღებულია 10.7 მლნ ლარი, ხოლო რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან - 1.3 მლნ ლარი (თუმცა 2024 წელს წლიური გეგმით აღნიშნული შემოსავლის მიღება გათვალისწინებული არ არის).

რაც შეეხება 2023 წელთან მიმართებას, არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები 28.1 მლნ ლარით (39.6%-ით) არის გაზრდილი, რაც უკავშირდება, ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოსულობების მნიშვნელოვან ზრდას, არანარმოებულ აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები კი მცირედით შემცირებულია.

წინა წლის 6 თვესთან შედარებით, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 29.1 მლნ ლარით მეტი, 86.9 მლნ ლარი, მ.შ. არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან შემოსულობამ მიაღწია 86.8 მლნ ლარს, (2023 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 57.8 მლნ ლარს შეადგენდა). არანარმოებულ აქტივების რეალიზაციიდან კი მიღებულ იქნა 1.0 მლნ ლარით ნაკლები (12.0 მლნ ლარი), რაც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, წინა წლისგან განსხვავებით ბიუჯეტში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან თანხების ჩაირიცხვასთან, და მეორე მხრივ, მიწის გაყიდვიდან 2.3 მლნ ლარით ნაკლები შემოსულობის მიღებასთან (მ.შ. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეალიზაციიდან, მიმდინარე წლის 6 თვეში მიღებულ იქნა 9.0 მლნ ლარი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან - 1.4 მლნ ლარი, 2023 წელს კი ანალოგიური მაჩვენებლები შეადგენდა, შესაბამისად, 7.3 მლნ ლარს და 5.1 მლნ ლარს).

დიაგრამა 18. არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობები 2015-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი)




## ფინანსური აქტივების კლება

ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობების სახით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) იანვარ-ივნისში მიღებულია 203.0 მლნ ლარი, რაც 6 თვის გეგმის 92.3%-ს და წლიური გეგმის 67.7%-ს შეადგენს.

წინა წელთან შედარებით გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულია 32.2 მლნ ლარით (18.9%-ით) მეტი შემოსულობა.

დიაგრამა 19. ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები 2015-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).



## ვალდებულებების ზრდა

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების სახით 6 თვეში ბიუჯეტში ჩაირიცხა 1,243.9 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 128.8% (წლიური გეგმის 37.3%), როგორც საგარეო, ისე საშინაო დაფინანსების წყაროდან სახსრების გადაჭარბებით მიღების გავლენით. კერძოდ, საგარეო დაფინანსების წყაროდან მიღებულია 767.3 მლნ ლარი, 6 თვის გეგმის 142.7%. მ.შ. ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით ბიუჯეტში ჩაირიცხა 194.7 მლნ ლარი (6 თვის გეგმის 126.8%), ხოლო საინვესტიციო კრედიტების სახით - 572.6 მლნ ლარი (6 თვის გეგმის 149.1%).

ცხრილი 5. 2023-2024 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდის 6 თვის მაჩვენებლები (მლნ ლარი, %).


	2023 წლის 6 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 6 თვის გეგმა	2024 წლის 6 თვის შესრულება	შესრულება 6 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან	%-ული ცვლილება წინა წელთან
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>1,382.8</b>	<b>3,338.5</b>	<b>965.5</b>	<b>1,243.9</b>	<b>128.8%</b>	<b>37.3%</b>	<b>-10.0%</b>
<b>საგარეო</b>	<b>689.2</b>	<b>1,838.5</b>	<b>537.5</b>	<b>767.3</b>	<b>142.7%</b>	<b>41.7%</b>	<b>11.3%</b>
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	2.0	450.0	153.6	194.7	126.8%	43.3%	9509.8%
საინვესტიციო კრედიტები	687.1	1,388.5	383.9	572.6	149.1%	41.2%	-16.7%
<b>საშინაო</b>	<b>693.6</b>	<b>1,500.0</b>	<b>428.0</b>	<b>476.6</b>	<b>111.4%</b>	<b>31.8%</b>	<b>-31.3%</b>

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებებს (ფასიანი ქაღალდების შესყიდვებისა და დაფარვის ოპერაციების შედეგად ვალდებულებების წმინდა ზრდა), წლის განმავლობაში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით<sup>[5]</sup> მიღებულმა თანხამ 1,767.0 მლნ ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 1,290.4 მლნ ლარი შეადგინა, შედეგად, საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდა 476.6 მლნ ლარს გაუტოლდა, რაც 6 თვის გეგმის 111.4%-ია.

[5] 2024 წლის 6 თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 36 გამოშვების, 5 გამოსყიდვის და 3 გაცვლის აუქციონი. გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 1,908.4 მლნ ლარის მოცულობით ნომინალში, აქედან სახაზინო ობლიგაციები - 1,618.4 მლნ ლარის ოდენობით სრულად წარმოადგენს ე. წ. „ბენჩმარკ ბონდებს“.


2024 წლის 6 თვეში, პანდემიის პერიოდთან (2020-2021 წლებთან) შედარებით, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მოცულობა მკვეთრად შემცირებულია, თუმცა 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი მცირედით, 1.5%-ით მომატებულია (საშინაო წყაროდან შემოსულობების ზრდის გავლენით), 2023 წელთან შედარებით კი შემცირებულია, რაც განპირობებულია საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდით შემოსულობების კლებით (217.0 მლნ ლარის ოდენობით).

დიაგრამა 20. საშინაო და საგარეო ვალდებულებების ზრდის დინამიკა 2015-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).



რაც შეეხება საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებს, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11.3%-ით (78.2 მლნ ლარით) მომატებულია, რაც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, საბიუჯეტო კრედიტების მოცულობის მნიშვნელოვან ზრდასთან (მიმდინარე წლის 6 თვეში ბიუჯეტში ჩაირიცხა 194.7 მლნ ლარი<sup>[6]</sup>, წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელი კი შეადგენდა 2.0 მლნ ლარს), და მეორე მხრივ, საინვესტიციო კრედიტების 114.6 მლნ ლარით კლებასთან.

დიაგრამა 21. საგარეო ვალდებულებების კომპონენტების დინამიკა 2015-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი).




[6] მ.შ. საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის (WB) ფარგლებში იენისში მიღებულია 191.7 მლნ ლარი.

# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გადასახდელების გეგმა განსაზღვრულია 25,030.4 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 2024 წლის 6 თვის გადასახდელების შესრულებამ შეადგინა 11,799.0 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 47.1%-ს, 6 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმის (11,869.4 მლნ ლარი) 99.4%-ს უტოლდება, ხოლო გასული წლის ანალოგიურ მარჯვენებელზე 18.5%-ით (1,839.2 მლნ ლარით) მეტია.

ნომინალურ გამოხატულებაში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის მარჯვენებელი ყოველწლიური ზრდის ტენდენციით ხასიათდება (გარდა 2022 წლისა). 2015-2023 წლებში მისი წილი წლიურ შესრულებაში მერყეობდა 42.6%-სა და 50.7%-ს შორის, 2024 წლის 6 თვის შესრულების მარჯვენებელმა კი წლიური გეგმის 47.1% შეადგინა.

დიაგრამა 22. 2015-2024 წლების გადასახდელების 6 თვის შესრულებები და მათი წილი წლიურ მარჯვენებელში (მლნ ლარი, %).




ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებები 2024 წლის 6 თვეში. როგორც ცხრილშია ასახული, ხარჯების, შესრულების მარჯვენებელი 6 თვის დამტკიცებული გეგმის 97.6%-ს, ხოლო დაზუსტებული გეგმის 98.3%-ს შეადგენს. შესრულების მაღალი დონით ხასიათდება, ასევე, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი (6 თვის დამტკიცებული გეგმის 110.6%, დაზუსტებული გეგმის 102.2%). 6 თვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმების მიმართ გადაჭარბებით გამოირჩევა ფინანსური აქტივების ზრდის მარჯვენებელი (შესაბამისად, 191.7% და 197.2%). 6 თვის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით შესრულების დაბალი დონით (89.9%), ხოლო დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით კარგი შესრულების დონით (99.3%) ხასიათდება ვალდებულებების კლების კომპონენტი.

ცხრილი 6. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების შესრულება 2024 წლის 6 თვეში (მლნ ლარი, %).

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 6 თვის დამტკ. გეგმა	2024 წლის 6 თვის დაზუსტ. გეგმა	2024 წლის 6 თვის შესრულება	შესრულება 6 თვის დაზუსტ. გეგმასთან	შესრულება 6 თვის დამტკ. გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>გადასახდელები</b>	<b>25,030.4</b>	<b>11,869.4</b>	<b>11,869.4</b>	<b>11,799.0</b>	<b>99.4%</b>	<b>99.4%</b>	<b>47.1%</b>
ხარჯები	19,120.9	9,534.4	9,467.1	9,306.3	98.3%	97.6%	48.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,180.6	1,609.0	1,741.0	1,779.7	102.2%	110.6%	42.6%
ფინანსური აქტივების ზრდა	305.6	59.1	57.4	113.3	197.2%	191.7%	37.1%
ვალდებულებების კლება	1,423.4	666.9	603.9	599.8	99.3%	89.9%	42.1%


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2015-2024 წლების 6 თვეში შემადგენელი კომპონენტების მიხედვით.

დიაგრამა 23. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით 2015-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი)




როგორც დიაგრამაზეა გამოსახული, ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მაგალითისათვის 2024 წლის 6 თვის შესრულების მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 7,394.1 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია ხარჯების, არაფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების ზრდით. თუმცა, თუ განვიხილავთ გადასახდელების ძირითადი კომპონენტების, ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის, წილს მთლიან გადასახდელებში, ნათლად ჩანს, რომ ხარჯების წილი კლების ტენდენციით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის წილი ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. კერძოდ, 2015 წლის 6 თვეში, გადასახდელების 84.9%-ს შეადგენდა ხარჯები, ხოლო გადასახდელების 5.5%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა. აღნიშნული მაჩვენებლები, 2024 წლის 6 თვეში, შეადგენს შესაბამისად 78.9%-სა და 15.1%-ს. ამასთან, აღსანიშნავია რომ, 2015-2024 წლებში, გადასახდელების 6 თვის შესრულებაში, ხარჯების წილის საშუალო მაჩვენებელი 79.2%-ს, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის საშუალო მაჩვენებელი 10.7%-ს შეადგენს.

გადასახდელებში 4 ძირითადი კომპონენტის პროცენტული განაწილების საჩვენებლად, ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2024 წლების 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტების პროცენტული განაწილება.



რაც შეეხება 2022-2024 წლების 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებას თვეების მიხედვით, 2022 წლის იანვარ-ივნისში განწეული გადასახდელების საშუალო ყოველთვიური მაჩვენებელი შეადგენდა 1,462.5 მლნ ლარს, ხოლო 2023 წლის - 1,660.0 მლნ ლარს. 2024 წლის იანვარ-ივნისში საშუალო ყოველთვიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,966.5 მლნ ლარი, 2022 წლის 6 თვის საშუალო მაჩვენებელზე 34.5%-ით (504.0 მლნ ლარით) მეტი, ხოლო 2023 წლის 6 თვის საშუალო მაჩვენებელზე 18.5%-ით (306.5 მლნ ლარით) მეტი.

დიაგრამა 25. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2022-2024 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების იანვარ-ივნისში შესრულება მოიცავს დამატებით 8 პროგრამულ კოდს, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასიგნებების ათვისება, ესენია:

- „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 24 14 04) - 6.8 მლნ ლარის ოდენობით;
- „ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID 19-ის მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 03 03 10) - 1.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 57 00) - 0.9 მლნ ლარის ოდენობით;
- "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა" (პროგრამული კოდი - 26 11) - 0.2 მლნ ლარის ოდენობით;
- “მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა” (პროგრამული კოდი - 31 05 22) - 0.2 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 59 00) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 58 00) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის (KfW)“ (პროგრამული კოდი - 27 06 06) – 1.6 ათასი ლარის ოდენობით.

## ხარჯები


2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, 2024 წლის 6 თვის შესრულება (9,306.3 მლნ ლარი) ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შემდეგი სახით არის გადანაწილებული:

ცხრილი 7. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2024 წლის 6 თვეში (მლნ ლარი, %)

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 6 თვის დაბტკ. გეგმა	2024 წლის 6 თვის დაბუსტ. გეგმა	2024 წლის 6 თვის შესრულება	შესრულება 6 თვის დაბუსტ. გეგმასთან	შესრულება 6 თვის დაბტკ. გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ხარჯები</b>	<b>19,120.9</b>	<b>9,534.4</b>	<b>9,467.1</b>	<b>9,306.3</b>	<b>98.3%</b>	<b>97.6%</b>	<b>48.7%</b>
შრომის ანაზღაურება	2,577.3	1,278.0	1,261.4	1,233.1	97.8%	96.5%	47.8%
საქონელი და მომსახურება	2,232.0	1,162.2	1,167.3	1,083.7	92.8%	93.2%	48.5%
პროცენტი	1,540.0	757.2	715.3	709.4	99.2%	93.7%	46.1%
სუბსიდიები	1,044.9	493.9	500.3	516.2	103.2%	104.5%	49.4%
გრანტები	1,513.0	737.6	757.2	740.7	97.8%	100.4%	49.0%
სოციალური უზრუნველყოფა	7,470.4	3,737.5	3,766.7	3,764.1	99.9%	100.7%	50.4%
სხვა ხარჯები	2,743.2	1,368.0	1,298.9	1,259.1	96.9%	92.0%	45.9%

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2015-2024 წლების 6 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:


დიაგრამა 26. ხარჯების დინამიკა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით 2015-2024 წლების 6 თვეში (მლნ ლარი)



2024 წლის 6 თვეში „შრომის ანაზღაურების“ მუხლის შესრულებამ 1,233.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 6 თვის დამტკიცებული გეგმის (1,278.0 მლნ ლარი) 96.5%-ს, 6 თვის დაზუსტებული გეგმის (1,261.4 მლნ ლარი) 97.8%-ს და წლიური გეგმის (2,577.3 მლნ ლარი) 47.8%-ს შეადგენს. აღნიშნული შესრულება 2023 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 202.5 მლნ ლარით მეტია. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ზრდის ტემპს 2016-2023 წლების 6 თვეში, აღნიშნული მაჩვენებელი (საშუალო ზრდის ტემპი) 5.7%-ს შეადგენს, 2023 წლის 6 თვესთან შედარებით, 2024 წლის 6 თვის მაჩვენებელი კი 19.6%-ით არის გაზრდილი.

